



დღის წესრიგი

SIGMA-ს მეორე რეგიონალური კონფერენცია
სახელმწიფო შესყიდვებზე
ევროპის სამეზობლოს აღმოსავლეთ რეგიონისათვის

ორგანიზატორები:

SIGMA

და

უკრაინის ეკონომიკური განვითარებისა და ვაჭრობის სამინისტრო

29-30 მაისი 2018, კიევი, უკრაინა



SIGMA - ევროკავშირის და “ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის” (OECD) ერთობლივი ინიციატივა - უკრაინის ეკონომიკური განვითარებისა და ვაჭრობის სამინისტროსთან ერთად ევროპის სამეზობლო პოლიტიკის აღმოსავლეთის ყველა ქვეყნისათვის (სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, მოლდავეთი და უკრაინა) სახელმწიფო შესყიდვების თემაზე მეორე რეგიონალურ კონფერენციას ატარებს.

2 Rue André Pascal
75775 Paris Cedex 16
France

<mailto:sigmaweb@oecd.org>
Tel: +33 (0) 1 45 24 82 00
Fax: +33 (0) 1 45 24 13 00

www.sigmaweb.org

ეს დოკუმენტი შეიქმნა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს ევროკავშირის, OECD-ს ან მისი წევრი ქვეყნების და არც SIGMA-ს პროგრამის ბენეფიციარების ოფიციალური ხედვას. წარმოდგენილი არგუმენტები და მოსაზრებები მათ ავტორებს მიეკუთვნება.

დოკუმენტი და მასში შესული ნებისმიერი რუქა არ არის მიმართული მიკერძოებული აზრის წარმოსადგენად რომელიმე ტერიტორიის სუვერენიტეტის ან სტატუსის მიმართ.

SIGMA არის ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის ნაწილი და გამოყენების იგივე პირობები მიესადაგება SIGMA-ს პუბლიკაციე მს: <http://www.oecd.org/termsandconditions>.

შესავალი

სახელმწიფო შესყიდვები სახელმწიფო სახსრების ხარჯვის ერთ-ერთი ძირითადი საშუალება და სახელმწიფო ფინანსების კარგი მართვის განუყოფელი ნაწილია. ამასთან, მისი ეკონომიკური ზეგავლენა მნიშვნელოვანი და ნათლად ხილვადია. სახელმწიფო შესყიდვებმა შეიძლება გააუმჯობესოს ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა, ისევე როგორც დაეხმაროს მას პოლიტიკის დოკუმენტების მნიშვნელოვანი შედეგების მიღწევაში დღევანდელი საზოგადოებრივი და ეკონომიკური გამოწვევების ფონზე ინოვაციების, ინკლუზიურობის, გარემოსა და სოციალური საკითხების გათვალისწინებით. სახელმწიფო შესყიდვები პოლიტიკის სტრატეგიის დოკუმენტი ხდება. ახალ წესებზე დაყრდნობით, სახელმწიფო შესყიდვების პროცედურები ასევე დაეხმარება სახელმწიფო შემსყიდველ დაწესებულებებს გარემოსდაცვითი, სოციალური ინტეგრაციისა და ინოვაციების პოლიტიკის განხორციელებაში. მაგრამ იმისათვის, რომ მაღალი ხარისხის მომსახურების მიწოდება ვუზრუნველყოთ და დავიცვათ სახელმწიფო ინტერესები, პოლიტიკურმა გარემომ საშუალება უნდა შექმნას სახელმწიფო შესყიდვების მართვის სწორი პოლიტიკის ფორმულირებისათვის და საჯარო დაწესებულებებმა სახელმწიფო შესყიდვები ეფექტიანად და მაღალი სტანდარტების დაცვით უნდა განახორციელონ.

ევროპის სამეზობლოს აღმოსავლეთ რეგიონის უმეტესი ქვეყნა სახელმწიფო შესყიდვების სისტემების მოდერნიზაციის ახორციელებს. ასოცირების სამივე ქვეყანა (ქვეყნები, რომლებმაც ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას მოაწერა ხელი: საქართველო, მოლდავეთი და უკრაინა) სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის და პრაქტიკების ევროკავშირის სტანდარტებთან ჰარმონიზაციის პროცესშია. ქვეყნებისთვის სავალდებულოა იმის დემონსტრირება, რომ მათ ცენტრალური მთავრობის დონეზე დამაკმაყოფილებელი ადმინისტრაციული შესაძლებლობები გააჩნიათ სრულიად დაცული და ეფექტიანი სახელმწიფო შესყიდვების სისტემის უზრუნველსაყოფად. ამასთანავე, ევროკავშირსა და სომხეთს შორის გაფორმებული ყოვლისმომცველი და გაფართოვებული პარტნიორობის შეთანხმება, სომხეთს ავალდებულებს თანხვედრაში მოიყვანოს მისი სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობა და პრაქტიკები საერთაშორისო სტანდარტებთან (მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციის (WTO)/მთავრობის შესყიდვების შეთანხმებისა (GPA) და ევროპის კარგი პრაქტიკების საფუძველზე). ამ ეტაპზე, აზერბაიჯანი ახალი სავაჭრო შეთანხმების მოლაპარაკებებს აწარმოებს ევროკავშირთან, რომლის ნაწილიც სახელმწიფო შესყიდვები იქნება.

აქედან გამომდინარე, ევროკავშირთან არსებული ურთიერთობების მიუხედავად, ევროპის სამეზობლოს აღმოსავლეთ რეგიონის ყველა ქვეყანა ევროკავშირის სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობას და პრაქტიკებს უმნიშვნელოვანეს საკითხად მიიჩნევს.

ყველა ქვეყანა დაინტერესებულია 2014 წლის ევროკავშირის სახელმწიფო შესყიდვების დირექტივაში შესული ახალი ინსტრუმენტებისა და მექანიზმების დანერგვაში, როგორებიცაა: ჩარჩოდოკუმენტის შეთანხმება, ცენტრალური შემსყიდველი უწყებები და სხვადასხვა ფორმით წარმოდგენილი ელექტრონული შესყიდვები. ამავე დროს არსებობს მნიშვნელოვანი საჭიროება და ინტერესი, რომ შესაძლებლობები განვითარდეს ცენტრალური შემსყიდველი ინსტიტუტების, შემსყიდველი ორგანიზაციებისა და ეკონომიკური ოპერატორების ყველა დონეზე. რეფორმის ეს აქტივობები მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, დიალოგისა და ინფორმაციის გაცვლის ეფექტური მექანიზმი ქვეყნებისათვის

სარგებლის მომტანი იქნება. სახელმწიფო შესყიდვების რეფორმამ ყველა ის მიზანი უნდა დააკმაყოფილოს, რომელიც შესულია “საჯარო მმართველობის პრინციპები ევროპის სამეზობლოს პოლიტიკის ქვეყნებისათვის¹” დოკუმენტში.

ცენტრალური მთავრობის დონეზე ყველა ქვეყნის სახელმწიფო შესყიდვების ინსტიტუტებმა გამოთქვა ინტერესი სხვა ქვეყნების კოლეგებთან რეგულარული კონსულტაციების, ინფორმაციის, რჩევის და ეროვნული რეფორმების ინიციატივების ხელშემწყობი მოდელების გამოთხოვისათვის ჩამოყალიბდეს რეგიონალური თანამშრომლობა სახელმწიფო შესყიდვებში. ასეთი ურთიერთთანამშრომლობისა და გაცვლის ბევრი წარმატებული პრაქტიკა არსებობს სხვა რეგიონებში, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იყოს როგორც მაგალითი. SIGMA-ამ უკვე ჩაატარა ერთი რეგიონალური კონფერენცია რეგიონის სახელმწიფო შესყიდვების ოფიციალური პირებისათვის (პარიზი, 2014), რომელმაც მონაწილეთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

მიზნები

კონფერენციის მთავარი მიზანია მონაწილეებს მიაწოდოს ინფორმაცია ევროკავშირის სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში არსებულ სიახლეებზე, ტენდენციებზე, რეგიონის მიღწევებზე და გამოწვევებზე. ღონისძიება შექმნის პლატფორმას SIGMA-ს პარტნიორ ევროპის სამეზობლოს აღმოსავლეთ ქვეყნების, ევროპული კომისიისა და ევროკავშირის წევრი ქვეყნებისათვის ფორმალური და არაფორმალური გზით გამოცდილების გასაზიარებლად. რეგიონის შესყიდვების სფეროს წამყვანი ოფიციალური პირები გაეცნობიან და უკეთ შეისწავლიან როგორ ახორციელებს და იყენებს ევროკავშირის წევრი ქვეყნები ევროკავშირის 2014 წლის სახელმწიფო შესყიდვების დირექტივაში (EU 2014 Public Procurement Directive) შესულ ახალ პროცედურებსა და ინსტრუმენტებს.

მთავარი თემები

კონფერენციის მთავარი თემა სახელმწიფო შესყიდვების სისტემების საერთაშორისო პრაქტიკებთან დაახლოების მზარდ მოთხოვნებთან დაკავშირებული გამოწვევები იქნება. SIGMA ასევე გამოიყენებს ამ შესაძლებლობას სახელმწიფო შესყიდვების თემაზე გაკეთებული პუბლიკაციების წარსადგენად. პრეზენტაციები და დისკუსიები ორგანიზებული იქნება შემდეგი მთავარი სამი თემის ირგვლივ:

- ევროკავშირის სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკა და სამართლებრივი ჩარჩოები: ეროვნულ დონეზე მათი განხორციელების პრაქტიკული გამოცდილებები და შემდგომი განვითარება (ევროპული კომისიის და ევროკავშირის წევრი ქვეყნების წარმომადგენლების პრეზენტაციებზე დაყრდნობით),
- ევროპის სამეზობლოს აღმოსავლეთ რეგიონის ქვეყნების სახელმწიფო შესყიდვების რეფორმების უახლესი მიღწევები და გამოწვევები (ევროპის სამეზობლოს პოლიტიკის ქვეყნების წარმომადგენლების პრეზენტაციებზე დაყრდნობით),
- სახელმწიფო შესყიდვების მთავარ საკითხებზე SIGMA-ს მიერ განხორციელებული კვლევები: ჩარჩოდოკუმენტის შეთანხმებები და პრაქტიკაში ეკონომიკური

¹ OECD (2017), SIGMA, [The Principles of Public Administration for ENP countries](#), OECD, Paris.

ოპერატორების შერჩევა ევროკავშირის ქვეყნების მაგალითების შედარებითი ანალიზის საფუძველზე (SIGMA-ს ექსპერტების პრეზენტაციების საფუძველზე).

მონაწილეები

კონფერენციას დაესწრებიან ევროპის სამეზობლოს აღმოსავლეთ რეგიონის ქვეყნებში სახელმწიფო შესყიდვების რეფორმების შემქმნელი და განმახორციელებელი მაღალი რანგის ოფიციალური პირები: ცენტრალური სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების/სააგენტოს უფროსები და შესყიდვების პროცესების ანალიტიკური სამსახურები და მათი მთავარი პერსონალი, ან წამყვანი სამინისტროების და სხვა სახელმწიფო სააგენტოების ოფიციალური პირები, რომელთა კომპეტენციებშიც სახელმწიფო შესყიდვები შედის. ევროპის სამეზობლოს აღმოსავლეთ რეგიონის ქვეყნების, მათ შორის მასპინძელი ქვეყნის, 5 წარმომადგენლის ვიზიტი SIGMA-ს მიერ დაფინანსდება. მასპინძელი ქვეყნის სხვა წარმომადგენლები კონფერენციაზე დასწრებას საკუთარი ხარჯებით შეძლებენ (SIGMA-ს მიერ არ დაფინანსდება). DG GROW და DG NEAR და ევროკავშირის წევრი ქვეყნების ადგილობრივი ექსპერტების მონაწილეობაც ასევე არის გათვალისწინებული. რეგიონში აქტიური სხვა საერთაშორისო დონორების (ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD), ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB) და მსოფლიო ბანკი) წარმომადგენლები ასევე იქნება მოწვეული დამკვირვებლების სახით.

ღონისძიების ადგილი

კონფერენცია ჩატარდება კიევში, უკრაინა, 29-30 მაისი, 2018.

ფორმატი

წარმოდგენილ პრეზენტაციებზე დაყრდნობით კონფერენცია ინტერაქტიულ რეჟიმში წარიმართება. აღმოსავლეთ პარტნიორობის და ევროკავშირის წევრი ქვეყნების ექსპერტები, ისევე როგორც ევროპული კომისიის წარმომადგენლები, მონაწილეებს ევროკავშირის პოლიტიკის დოკუმენტებს და კარგი პრაქტიკის მაგალითებს გააცნობენ. მონაწილეები წარმოდგენენ მათი ქვეყნების სიახლეებს და გაუზიარებენ გამოცდილებას. შეხვედრა მონაწილეებს ასევე მისცემს საშუალებას არაფორმალურ გარემოში გაცვალონ გამოცდილება და მათ კოლეგებთან გამართონ დისკუსიები რეგულარული ურთიერთგაცვლის ქსელის ჩამოსაყალიბებლად.

ენები

ღონისძიების სამოშაო ენაა ინგლისური. შესაბამისი თარგმანი უკრაინულ, სომხურ, მოლდოურ, აზერბაიჯანულ და ქართულ ენებზე უზრუნველყოფილი იქნება

დღის წესრიგი

ორშაბათი 28 მაისი, 2018

18:00 - 20:00 ოფიციალური მიღება

ლოკაცია: სასტუმრო ინტერკონტინენტალის ტერასა, კიევი

სამშაბათი 29 მაისი, 2018

კიევი

ლოკაცია: დარბაზი “ზოლოტი ვოროტა”, სასტუმრო ინტერკონტინენტალი,

თავმჯდომარე: **ერიკა ბოზუაი**, უფროსი მრჩეველი პოლიტიკის საკითხებში, SIGMA

09.00 - 09.30 რეგისტრაცია

09.30 - 10.00 მისასალმებელი სიტყვები

სტეპან კუბივი, უკრაინის პირველი ვიცე პრემიერ მინისტრი, ეკონომიკური განვითარების და ვაჭრობის მინისტრი

ჰუგუეს მინგარელი, ელჩი, უკრაინაში ევრო დელეგაციის ხელმძღვანელი
ერიკა ბოზუაი, უფროსი მრჩეველი პოლიტიკის საკითხებში, SIGMA

10.00 - 10.20 შესვენება ყავაზე

10.20 - 12:15 სესია N1: პანელის დისკუსია ჩარჩო დოკუმენტის შემუშავების მთავარ პრიორიტეტებზე და სახელმწიფო შესყიდვების სისტემისათვის მყარი საფუძვლების შექმნაზე

მოდერატორი: **მარგარეტა მოლნარი**, შესყიდვების ექსპერტი, უნგრეთი

სპიკერები:

ბონიფაციო გარსია-პორრას, G/2 განყოფილების უფროსი - შესყიდვების ბაზრებზე წვდომა, ევროპული კომისია, DG GROW:

თანამედროვე სახელმწიფო შესყიდვების მთავარი ღირებულებების და პრინციპების როლი სამუშაო ადგილების შექმნისა და გაზრდისათვის

მაქსიმ ნეფიოდოვი, უკრაინის ეკონომიკური განვითარებისა და ვაჭრობის მინისტრის პირველი მოადგილე:

უკრაინის სახელმწიფო შესყიდვების რეფორმა: გამოწვევები და მიღწევები

მარია სტილიანიდოუ, ბერძნული ღია უნივერსიტეტის პროფესორი, ერთიანი შესყიდვების უწყების წევრი, საბერძნეთი:

სახელმწიფო შესყიდვების რეფორმა საბერძნეთი: ევროკავშირის ახალი სახელმწიფო შესყიდვების დირექტივის იმპლემენტაცია და სტრუქტურული რეფორმა

მარიან ლამკე, SIGMA-ს უფროსი მრჩეველი პოლიტიკის საკითხებში:

საჯარო მმართველობის პრინციპები, როგორც სახელმწიფო შესყიდვების რეფორმის იმპლემენტაციის პროგრესის შეფასების ინსტრუმენტი

12.15 - 12.30 **ჯგუფური ფოტო**

12.30 - 14.00 **სადილი**

14.00 – 15.30 **სესია N2: პანელის დისკუსიები სახელმწიფო შესყიდვების სამართლებრივი ჩარჩოს რეფორმაზე - სამართლებრივი რეფორმა ევროპის სამეზობლოს აღმოსავლეთ რეგიონის ქვეყნებში**

მოდერატორი: **პიოტრ-ნილს გორეცკი**, უფროსი მრჩეველი პოლიტიკის საკითხებში, SIGMA

სპიკერები:

ლასზლო კონოკი, სამართლებრივი საკითხების ოფიცერი, G/2 შესყიდვების ბაზრებთან წვდომა, ევროპული კომისია, DG GROW:

ერთიანი ძალისხმევა რეგიონში თანამედროვე სახელმწიფო შესყიდვების სისტემის შესაქმნელად

კახი დემეტრაშვილი, საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის მოადგილე:

ასოცირების შესახებ შეთანხმების იმპლემენტაცია - სამართლებრივ დაახლოებასთან დაკავშირებული გამოწვევები

ბაჰადირ გაზიმოვი, სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი, ანტიმონოპოლიური და მომხმარებელთა უფლებების დაცვის სახელმწიფო სამსახური, აზერბაიჯანი

სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის გაუმჯობესება

რუსლან მალაი, მოლდავეთის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს უფროსი

ევროკავშირისა და მოლდავეთის ასოცირების შეთანხმების იმპლემენტაცია;

ვაჰე მაჰტესიანი, შესყიდვების პროცესების რეგულირების სამმართველოს უფროსი, სომხეთის ფინანსთა სამინისტრო:

საერთაშორისო რეგულაციების ჰარმონიზაციასთან დაკავშირებული გამოწვევები (GPA and EEU)

15.30 - 15.45 **შესვენება ყავაზე**

15.45 - 17.00 **სესია N3: პანელის დისკუსიები ელექტრონულ შესყიდვებზე: შანსები და გამოწვევები**

მოდერატორი: **იარემა დული,** საერთაშორისო თანამშრომლობის სამმართველოს უფროსი, (სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი), უკრაინის ეკონომიკური განვითარებისა და ვაჭრობის სამინისტრო

სპიკერები:

კარმენ რალუკა იპატე, პოლიტიკის ოფიცერი, G/2 შესყიდვების ბაზრებზე წვდომა, DG GROW, ევროპული კომისია:

ევროკავშირში სახელმწიფო შესყიდვების ციფრულ ტექნოლოგიებზე გადასვლის ხელშეწყობა

ლილია ლიხტიონოვა, სახელმწიფო შესყიდვების რეგულირების დეპარტამენტის დირექტორი, უკრაინის ეკონომიკური განვითარებისა და ვაჭრობის სამინისტრო:

ელექტრონული შესყიდვები როგორც გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის გაზრდის ინსტრუმენტი - მიღწეული შედეგები

იური ციციბაბა, მრჩეველი პოლიტიკის საკითხებში, მოლდავეთის ფინანსთა სამინისტრო:

ახალი ელექტრონული შესყიდვების სისტემის დანერგვა - პრობლემები და გამოწვევები

ტატო ურჯუმელაშვილი, შესყიდვების ექსპერტი, საქართველო:

ელექტრონული შესყიდვების მომავალი

19.00 - 21.00ვახშამი

ოთხშაბათი 30 მაისი 2018

ლოკაცია: დარბაზი “ზოლოტი ვოროტა”, სასტუმრო ინტერკონტინენტალი, კიევი

09.00 - 11.00 სესია N4: პანელის დისკუსია ცენტრალიზაციის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვების გაუმჯობესების საკითხებზე

მოდერატორი: **დარია კუჩენკო**, კორპორატიული განვითარების მენეჯერი, სახელმწიფო საწარმო “Profesiyni Zakupivli” (უკრაინის ცენტრალიზებული შესყიდვების უწყება), უკრაინა

სპიკერები:

პედერ ბლომბერგი, შესყიდვების ექსპერი, შვედეთი:

პირობები წარმატებული ცენტრალიზებული შესყიდვებისათვის

კენზა ხაჩანი, საჯარო მმართველობის სამდივნო, სახელმწიფო შესყიდვების განყოფილება, OECD:

ცენტრალიზებული შესყიდვები ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ქვეყნებში

ივანჩიკა ფრანჯკოვიჩი, სექტორის ხელმძღვანელი, დასაქმებისა და საპენსიო სისტემის სამინისტრო, ხორვატია:

ცენტრალიზებული შესყიდვები ხორვატიაში - არის თუ არა სისტემა წარმატებული?

11.00 - 11.15 შესვენება ყავაზე

11.15 - 12.15 სესია N5: შესყიდვების პროცესების ოპტიმიზაცია: პრაქტიკული მაგალითები SIGMA-ს უკანასკნელ პუბლიკაციებზე დაყრდნობით

მოდერატორი: **მარიან ლემკე**, უფროსი მრჩეველი პოლიტიკის საკითხებზე, SIGMA

სპიკერები:

მალგორჟატა სტაჩოვიაკი, შესყიდვების ექსპერი, პოლონეთი:

სახელმწიფო შესყიდვების პროცედურებში ეკონომიკური ოპერატორების შერჩევა: კანონმდებლობის მიმოხილვა და ევროკავშირში არსებული პრაქტიკები

დანიელ ივარსსონი, შესყიდვების ექსპერტი, შვედეთი:

ჩარჩოდოკუმენტების შეთანხმებების იმპლემენტაცია ევროკავშირში

12.15 - 13.15 სადილი

13.15 - 15.15 სესია N6: სისტემის დამცველები

მოდერატორი: მარგარეტა მოლნარი, შესყიდვების ექსპერი, უნგრეთი

სპიკერები:

სილვიუ პოპა, საჩივრების გადაჭრის ეროვნული საბჭოს პრეზიდენტი, რუმინეთი:

მოთხოვნები ეფექტური და დამოუკიდებელი გასაჩივრების სისტემისათვის

ალინა ტსატურიანი, შესყიდვების დავების განხილვის ორგანოს წევრის მრჩეველი, სომხეთი:

გასაჩივრების სისტემის ფუნქციონირება

ოლესეა სტამატე, AGER-ის პრეზიდენტი (ეფექტიანი და პასუხისმგებლიანი მმართველობის ასოციაცია), მოლდავეთი:

სახელმწიფო შესყიდვების პროცესების მონიტორინგი სამოქალაქო საზოგადოების მიერ

ოლექსანდ სკუროპატი, უკრაინის სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე:

სახელმწიფო შესყიდვების აუდიტირება

15.15 - 15.30 წინსვლის გზები - დისკუსიები და შემაჯამებელი კომენტარები

15.30 - 16.00 ყავა/ჩაი კონტაქტების გაცვლა და ურთიერთობების დამყარება

www.sigmaweb.org

2 Rue André Pascal
75775 Paris Cedex 16 France
mail to: sigmaweb@oecd.org
Tel: +33 (0) 1 45 24 82 00